

დამტკიცებულია

რექტორის მ/შ ბრძანებით 01-01/95

28.03.2017 წ

სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და შეფასების წესი



შინაარსი

1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის პრინციპები, მიზნები და ამოცანები;
2. სამეცნიერო საქმიანობის სახეები;
3. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის წესი;
4. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის ხერხი;
5. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტები და მათ საშუალო დატვირთვა;
6. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენის წესი;
7. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი;
8. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები;
9. კვლევითი ნაშრომის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები.

დანართი 1.

დანართი 2.

დანართი 3.

დაბართი 4.

დანართი 5.



სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და შეფასების წესი

შესავალი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“ და/ან „გთუნი“) არ წარმოადგენს ინტენსიურ კვლევით დაწესებულებას და არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, მიუხედავად ამისა, სამეცნიერო საქმიანობის განვითარება და მისი ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ანგარიშგასაწევი ადგილის მოპოვებისათვის ზრუნვა, სამეცნიერო თანამშრომლობის ხარისხის ამაღლება და თანამშრომლობის ფორმების დივერსიფიკაცია ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს მის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებაში. მისიის რეალიზაციისთვის გთუნის სტრატეგიულ მიზნებში გათვალისწინებულია კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა.

გთუნი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო საქმიანობა, რაც ეფუძნება ფუნდამენტური ცოდნის მონაპოვარს, მიმართულია უნდა იყოს პრობლემების გადაჭრისაკენ და ახალი ცოდნის შექმნისაკენ; უნდა უზრუნველყოფდეს მაღალ მეცნიერულ დონეს, მეთოდოლოგიური რესურსების განვითარებას და მათ დანერგვას პირველ რიგში, საგანმანათლებლო პროგრამებში.

გთუნის (ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის) დაფინანსების ძირითად წყაროს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს. შესაბამისად, სამეცნიერო საქმიანობაც, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის გაუყოფელი ნაწილი, ძირითადად სტუდენტების მიერ ფინანსდება, ამდენად:

გთუნი მტკიცედ მიიჩნევს, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს სტუდენტთა ინტერესებს და ამ პრინციპით განისაზღვროს კვლევის პრიორიტეტები.

უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო საქმიანობას გავრცელებული თავისებურებები ახასიათებს, რაც მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობაში საგანმანათლებლო შემადგენლის მაღალი ხვედრითი წილის არსებობა; სამეცნიერო სამიჯნობის პროცესის ფორმალიზებისა და აღწერის სირთულე; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად ფასეულობას ადამიანური და საინფორმაციო რესურსები წარმოადგენენ; მკაფიო კავშირის არ არსებობა მკვლევარის წვლილსა და კვლევის საბოლოო შედეგს შორის; ძლიერი დამოკიდებულება დაფინანსების მოცულობასა და ფორმაზე; მწირი დაფინანსების პირობებში საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში პუბლიკაციების დაბალი მაჩვენებლები; სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო ინდიკატორებისა და კრიტერიუმების არ არსებობა სახელმწიფო დონეზე; სახელმწიფო დონეზე სამეცნიერო საქმიანობისადმი მკაფიოდ დიფერენცირებული მიდგომის არ არსებობა უსდ-ების ტიპების შესაბამისად. კერძოდ, ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით განსაზღვრული გარე შეფასების მექანიზმი თანაბარ

პირობებში აყენებს დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სადოქტორო პროგრამებს და რომელთაც მიუერთდათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი სამეცნიერო პოტენციალი და იმ დაწესებულებებს, რომელნიც არ ახორციელებენ სადოქტორო პროგრამებს და სხვა.

გთუნის 2010-2016 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგების აგრეთვე გარე და შიდა ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა 2017-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია „კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა და განვითარება“ (სტრატეგიული მიზანი 3.) რაც განსაზღვრავს გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, კერძოდ:

მიზანი 1. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების და ტურიზმის მიმართულებით;

მიზანი 2. საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება;

მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება.

წინამდებარე დოკუმენტი: „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის წესი“ შეიქმნა გთუნის 2017-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების მიზნების რეალიზაციისთვის და ასახავს :

1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს;
2. სამეცნიერო საქმიანობის სახეებს;
3. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის წესს;
4. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის ხერხს;
5. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებს და მათ საშუალო დატვირთვას;
6. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენის წესს;
7. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესს;
8. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორებს;
9. კვლევითი ნაშრომის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს.

„გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის წესი“ გაზიარებულია აკადემიური პერსონალის მიერ.

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები

1.1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- აკადემიური პერსონალის მოტივირება სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს თავად მეცნიერების, მეთოდოლოგიის განვითარებას;
- მიღებული შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ანალიზი;
- შეფასების შედეგების გამოყენება გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
- სამეცნიერო და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის შედეგების სტუდენტთათვის პრაქტიკულად გაცნობა;
- განსაკუთრებულად ნიჭიერი სტუდენტების ჩართვა საუნივერსიტეტო კვლევებში.

1.2. სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული განვითარება, რაც ახალი ცოდნის შექმნის და ახალი ტექნოლოგიების ათვისების საფუძველია;
- კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- მეცნიერების გავლენის ზრდა საგანმანათლებლო საქმიანობაში;
- სამეცნიერო საზოგადოებებთან, კვლევით დაწესებულებებთან, სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ახალი, პროგრესული ფორმების განვითარება;
- გთუნის სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მიზნებისათვის;
- გთუნის ინტელექტუალური საკუთრების მართვის და ინტელექტუალური პოტენციალის კომერციალიზაციის პირობების შექმნა/განვითარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ეტაპობრივი ინტეგრაცია, მ.შ. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადების გზით.

1.3. სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი ამოცანები

- სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ერთიანობა;
- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ფინანსური რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და მიზნობრივი გამოყენებით, რაც გულისხმობს დასახული მიზნების მიღწევას დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში;
- რესურსების კონცენტრაცია გთუნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

- ახალგაზრდა თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;
- წამყვანი მეცნიერების ყოველმხრივი მხარდაჭერა;
- საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია;
- სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასება.

2. სამეცნიერო საქმიანობის ფორმები და სახეები

2.1. სამეცნიერო საქმიანობის ფორმებია:

- სამეცნიერო საქმიანობა (სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები)- შემოქმედებითი საქმიანობა, მიმართული ახალი ცოდნის მისაღებად და მათი გამოყენების გზები;
- ფუნდამენტური სამეცნიერო (თეორიული ან/და ექსპერიმენტული) საქმიანობა, მიმართული ახალი ცოდნის შესაქმნელად ბუნების, ადამიანის, საზოგადოების, ხელოვნურად შექმნილი ობიექტების კანონზომიერი განვითარების შესახებ;
- გამოყენებითი საქმიანობა-მიმართული ახალი ცოდნის მისაღებად კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაჭრის მიზნით. საქმიანობა, რომელიც მიმართულია პრაქტიკული საქმიანობის კონკრეტულ სფეროში პროცესების განხორციელების წესების შექმნის ან სრულყოფისაკენ (ახალი პროდუქტი, სისტემა მეთოდი ან მათი სრულყოფა)

2.2. სამეცნიერო საქმიანობის სახეებია:

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით გთუნის განსაზღვრული აქვს სამეცნიერო საქმიანობის სახეები, კერძოდ:

1. გთუნის პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებაზე/თემაზე მუშაობა;
2. მონოგრაფიის მომზადება;
3. კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება;
4. სახელმძღვანელოს მომზადება;
5. სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება;
6. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
7. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში;
8. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული საზღვარგარეთის ჟურნალში;
9. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა კრებულში;
10. სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების მომზადება;
11. სტატია ან თეზისები სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მასალათა კრებულში;
12. სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება;
13. მოხსნება სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში;
14. ეროვნულ, რეგიონულ და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა;
15. სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა, ფესტივალი, მეცნიერის ხსოვნის საღამო, სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, სამეცნიერო-თემატური კვირეული და ა.შ.);
16. სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება (კონფერენცია, პროექტი);

17. სარედაქტორო საქმიანობა (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა) და სხვა;
18. სარეცენზიო საქმიანობა (სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის, სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება
19. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
20. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა სხვა უსდ-ში მიწვევის, ან ერთობლივი სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში;
21. სამეცნიერო საზოგადოების წევრობა;
22. დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტში/პროექტებში მონაწილეობა;
23. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა.
24. ლექციები, საჯარო გამოსვლები, პრეზენტაციები, ლექციები მიწვევით და სხვა აქტივობები, რაც არ არის გამოქვეყნებული.

3. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება და მართვა

- 3.1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე;
- 3.2. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება მიმდინარეობს ფაკულტეტებზე/კათედრებზე, რომლებიც დამოუკიდებლად ირჩევენ კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას, რაც ამავე დროს უნდა იყოს საგანმანათლებლო და სტუდენტთა ინტერესებთან ადაპტირებული;
- 3.3. გთუნში სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი ორგანიზაციული პრინციპების გატარებისა და კოორდინაციისთვის, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის პროცესის მოქნილობას, გთუნში შექმნილია სპეციალური სტრუქტურული ერთეული-სამეცნიერო განყოფილება, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით;
- 3.4. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:
 - გთუნის ბიუჯეტი;
 - სამეცნიერო გრანტი;
 - დაკვეთა/კონტრაქტი;
 - კოოპერირებული ბიუჯეტი.

4. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა

- 4.1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო მიმართულებებთან (სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი, ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი მეცნიერებები) შესაბამისობაში;
- 4.2. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი გეგმა დგება ფაკულტეტების/კათედრების გეგმების საფუძველზე, თანხმდება სამეცნიერო განყოფილებასთან, წარედგინება აკადემიურ საბჭოს და მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
- 4.3. ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი არ ახორციელებს მსხვილმასშტაბიან კვლევებს, სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა ხდება ფაკულტეტის/კათედრის მიერ ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში (დანართი 1.) და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე;

- 4.4. ფაკულტეტი/კათედრა დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის ძირითად საკითხს/თემას, რომლის განხორციელების პერიოდი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთწლიანი) ან გრძელვადიანი (2-3 წლიანი);
- 4.5. კვლევის ძირითადი საკითხის/თემის დამუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს სტუდენტი;
- 4.6. კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა კათედრის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

5. სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტი და დატვირთვა

- 5.1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებია სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები), პროგრამული მიმართულებები და აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პერსონალი, ასისტენტ-პროფესორი);
- 5.2. აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა ჩაერთოს ფაკულტეტის/კათედრის საკვლევი თემის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში; აღნიშნული არ ზღუდავს მას განახორციელოს ამ თემატიკისაგან დამოუკიდებელი დამატებითი აქტივობები, რაც ასევე, ესადაგებოდეს საუნივერსიტეტო სამეცნიერო საქმიანობის პოლიტიკას და ძირითად მიმართულებებს;
- 5.3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დატვირთვა უნდა შეადგენდეს მისი სასწავლებელში საქმიანობის მინიმუმ 20%-ს, რაც ნიშნავს 360/8 სთ. საათობრივ დატვირთვას;
- 5.4. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე, მის მიზნობრიობაზე, ეფექტიანობაზე. დაფინანსების შემთხვევაში - ფინანსური რესურსის ეკონომიურ განაწილებაზე;

6. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში

- 6.1. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ფაკულტეტი/კათედრა აჯამებს განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას და წარადგენს დასახული გეგმის განხორციელების შედეგებს სამეცნიერო განყოფილებაში (დანართი 2);
- 6.2. სამეცნიერო განყოფილება ამზადებს ერთიან ანგარიშს (პროდუქტულობის სტატისტიკას) გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების შესახებ;
- 6.3. გთუნის ერთიანი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების საფუძველზე ხდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.

ნაწილი II. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

უსდ-ების სამეცნიერო საქმიანობის/კვლევის ხარისხის შეფასება, როგორც ცნობილია, შედარებით ახალი იდეაა, ხოლო შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა რთული თემაა და სამეცნიერო წრეებში დღემდე აქტიური დებატების საგანს წარმოადგენს.

აკადემიურ ინსტიტუციებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასახელმწიფო სტრუქტურებს, ფონდებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ხარისხის სტანდარტების, ზუსტი საზომის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების პოლიტიკისა და პრაქტიკის, კვლევის მნიშვნელობის ფინანსური გამოხატულების მიმართ.

დღეისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო საქმიანობის და კვლევითი ნაშრომის ხარისხის შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორები და კრიტერიუმები სახელმწიფო დონეზე არ არსებობს.

შესაბამისად, გაანალიზდა რა ESQR (European Society for Quality Research), IDRC (The International Development Reserach Center), HECRES (High Council for the Evaluation of Reserach and Higher Education), AUBR (Assessment of university-based research), THE (Times Higher Education's) და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები კვლევის ხარისხის სტანდარტების, შეფასებისა და უნივერსიტეტების რეიტინგების განსაზღვრის შესახებ, გთუნის მიერ შემუშავებულ იქნა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტიტუციური წესი და შეფასების გაზომვადი ინდიკატორები და კრიტერიუმები.

გთუნი აცნობიერებს, რომ სამეცნიერო საქმიანობის და კვლევის/ ნაშრომის ხარისხის შეფასების ქვემოთ მოცემული ინდიკატორები და კრიტერიუმები არ არის სრულყოფილი, დაიხვეწება და შეიცვლება ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესაბამისად.

7. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა

- 7.1. უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელსაც ახორციელებს უსდ-ს სამეცნიერო განყოფილება ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და დარგის/მიმართულების ექსპერტთან ერთად, რექტორის მოადგილის საერთო ხელმძღვანელობით;
- 7.2. ასევე, მეცნიერებათა აკადემია იხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს;
- 7.3. შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ;
- 7.4. შეფასების შედეგები მოხსენდება აკადემიური საბჭოს და გამოიყენება გთუნის კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

8. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები

8.1. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება სამი ინდიკატორი: ბიბლიომეტრული ინდიკატორი, საკადრო ინდიკატორი, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ინდიკატორი. პრაქტიკულად, სამივე მათგანი რაოდენობრივი ინდიკატორია, თუმცა იძლევა საფუძველს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხობრივი შეფასებისთვის;

8.2. ინდიკატორი 1 -ბიბლიომეტრული ინდიკატორი:

- პროდუქტულობა (პუბლიკაციათა რაოდენობას განსაზღვრულ პერიოდში, პუბლიკაციათა სახეების მიხედვით: სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია);
- პუბლიკაციათა რაოდენობა რედაქტირებად ჟურნალებში;
- პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო ჟურნალებში;
- პუბლიკაციათა რაოდენობა იმპაქტ -ფაქტორის საერთაშორისო ჟურნალებში;
- ციტირების ინდექსი, რაც აჩვენებს ნაშრომის მნიშვნელობას (არსებობის შემთხვევაში);
- უცხოელ მეცნიერთან თანაავტორობა, რაც გამოხატავს საერთაშორისო კოოპერაციას.
(*დეტალურად გაწერილია ანგარიშის თანდართულ ფორმაში)

8.3. ინდიკატორი 2- საკადრო ინდიკატორი:

რაც გულისხმობს შემდეგს:

- სამეცნიერო ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საბჭოების და/ან სამეცნიერო პროფესიული გაერთიანებების წევრობა;
- აკადემიური პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებში/სიმპოზიუმებში, სემინარებში, ვორქშოპებში (მ.შ. საერთაშორისო) და სხვა ღონისძიებებში, მონაწილეობის ფორმა;
- აკადემიური პერსონალის მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ნაშრომების რაოდენობა (მ.შ. ნაშრომების რაოდენობა, რომელნიც შეფასდა უმაღლესი ქულებით საერთო რაოდენობიდან);
- აკადემიური პერსონალის სარედაქტორო/სარეცენზიო საქმიანობა;
(*დეტალურად გაწერილია ანგარიშის თანდართულ ფორმაში)

8.4. ინდიკატორი 3- ფინანსური ინდიკატორი:

რაც გულისხმობს:

- ფინანსურ-დანახარჯებს მეცნიერებაზე და არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

9. სამეცნიერო ნაშრომის/კვლევის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები

9.1. სამეცნიერო ნაშრომის/კვლევის შეფასების კრიტერიუმებია (კვლევის სფეროს სპეციფიკის მიუხედავად):

1. ნაშრომი/კვლევა რედაქტირებულია (Peer reviewed);
2. კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად;
3. კვლევის საკითხი ფართოდ არის მიმოხილული, ასახავს საკითხის შესწავლილობის ასპექტებს;

4. ნაშრომი თანმიმდევრულია, არ შეიმჩნევა ლოგიკური წყვეტა, არ ეყრდნობა ფიქტიურ ან არგუმენტებს;
5. ნაშრომი სანდოა და არ შეიცავს დაწუნებულ/უარყოფილ ფაქტებს, შეფასებებს, მოსაზრებებს;
6. ადგილი არ აქვს ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების არამართებულ მანიპულაციას და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას;
7. დასკვნები გადამოწმებულია, არ არის საეჭვო და გადაჭარბებული; არ არის ალოგიკური (non-sequitur) და უშუალოდ გამომდინარეობს წინამძღვრებიდან;
8. არ არის იგნორირებული ალტერნატიული მოსაზრებები და დასკვნები;
9. ნაშრომი განზოგადებადია;
10. ნაშრომი გამოყენებადია;
11. ნაშრომის იდეა/შინაარსი/დასკვნები ორიგინალურია;
12. ნაშრომის ციტირება (მეცნიერთა ციტირების ინდექსების დადგენა [Google Scholar](#) -ის, Scopus-ისა და ტომსონის ([Thomson Reuters | Web of Science](#)) მონაცემთა გამოყენებით);
13. წყაროები გადამოწმებულია ზუსტად და გამოყენებულია კეთილსინდისიერად;
14. ნაშრომს შეუძლია გავლენა მოახდინოს...(სფერო: ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, გარემოსდაცვითი, სხვა);
15. კარგად იკითხება.

9.2. მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმთა 90%-ს.

9.3. შეფასების შედეგები გამოყენება გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

10. სამეცნიერო ჟურნალის შეფასება

სამეცნიერო ნაშრომში მოცემული ნააზრების, ჰიპოთეზის ან დასკვნების გაზიარების, განხილვის და სხვების მიერ გათვალისწინების მიზნებისათვის აკადემიური კომუნიკაციის არხებს შორის სამეცნიერო ჟურნალი ყველაზე გავრცელებადი და ტირაჟირებადია, იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალი გავლენიანი უნდა იყოს. ჟურნალის „გავლენიანობა“ („გავლენა“) გამოიხატება ინგლისური „ipmact“-ით.

10.1. სამეცნიერო ჟურნალის გავლენა

- გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მკითხველი მსჯელობისას იშველიებს ამ ჟურნალში წაკითხულ სტატიას და მოჰყავს ციტატა. ჟურნალის გავლენიანობა დამოკიდებულია მასში გამოქვეყნებული სტატიებიდან ციტირებების რაოდენობაზე;
- თავის მხრივ, სტატიის ციტირების მაჩვენებელი განსაზღვრავს არა მარტო ჟურნალის, არამედ თავად ავტორების გავლენიანობასა და რეიტინგს;

10.2. იმპაქტ-ფაქტორი (IF -ImpactFactor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI, Science Citation Index):

- ISI (Institute for Scientific Information) ინსტიტუტში, რომელიც ამჟამად გაერთიანებულია თომსონ როიტერსის კორპორაციაში, შემუშავდა ჟურნალების გავლენის კოეფიციენტის ე.წ. იმპაქტ-ფაქტორის (IF- Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI, Science Citation Index) სისტემატიზირებული, ობიექტური, სტატისტიკური ანალიზის ხერხი;
- ყოველი წლის დეკემბრის თვეში თომსონ როიტერსი აქვეყნებს ჟურნალების რეიტინგებს IF და SCI მაჩვენებლის სისტემატიური ანალიზის საფუძველზე.

- ჟურნალები, რომლებიც ხვდებიან ამ ანგარიშებში, დარეგისტრირებულია ანუ ინდექსირებულია თომსონ როიტერსის ბაზაში (WoS - Web of Science). დღეისათვის WoS-ში ინდექსირებულია 12 ათასამდე სამეცნიერო ჟურნალი 21 სამეცნიერო მიმართულებაში;
- ჟურნალის ინდექსირება და ყოველწლიური რეიტინგული ანგარიშების გაცნობა ფასიანია;
- ჟურნალებისა და ავტორების ციტირებების სისტემატიური და ობიექტური სტატისტიკური ანალიზი შესაძლებელია სიმაგოს ჟურნალების რეიტინგების SJR (SCImago Journal Rank) ბაზის მეშვეობით, რაც უფასოა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, Scopus ბაზის მეშვეობით, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებიდან;
- IF (იმპაქტ-ფაქტორი) და SJR (სიმაგოს ჟურნალების რეიტინგი) ინდექსების გამოთვლის ფორმულები მოცემულია დანართში N4.

გამოყენებული წყაროები:

1. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი EPPM. თბილისი 2013
2. რეიტინგი, იმპაქტ-ფაქტორი, h-ინდექსი. ქვაბიტაშვილი. <https://academinnovation.wordpress.com/>;
3. Assessing Europe's University-Based Research Expert Group on Assessment of University-Based Research.2010
4. AUBR (Assessment of university-based research), https://www.snowballmetrics.com/wp.../assessing-europe-university-based-research_en.p..
5. ESQR (European Society for Quality Research)- www.esqr.org/
6. Greenwood . Reliability of journal impact factor rankings. *BMC Med Res Methodol.* 7: 48(2007)
7. IDRC (The International Development Reserach Center), <https://www.idrc.ca/>
8. HCERES (High Council for the Evaluation of Reserach and Higher Education), <https://rio.jrc.ec.europa.eu/.../high-council-evaluation-res>
9. THE (Times Higher Education's) <https://www.timeshighereducation.com/world-university->

სამეცნიერო საქმიანობის გეგმა (წელი)			
ფაკულტეტი-----			
1.კათედრა----- 2.კათედრა-----			
კვლევის პრიორიტეტული მიმართულება/წლიური თემა			
აღწერა:			
<ol style="list-style-type: none"> 1. კვლევის თემის დასახელება; 2. სამეცნიერო საქმიანობის ტიპი (ფუნდამენტური, გამოყენებითი, დამუშავებითი); 3. ხელმძღვანელი; 4. მონაწილენი; 5. მოსალოდნელი შედეგები; 6. ბიუჯეტი; 7. განხორციელების გრაფიკი (ცხრილის სახით); 8. შესრულების ინდიკატორები; 9. განხორციელების შუალედური მონიტორინგი; 10. კოლეგიალური შეფასება; 11. ანგარიში. 			
სხვა სამეცნიერო აქტივობები	ვადები	შემსრულებელი	შესრულების ინდიკატორები
აქტივობა 1. მოკლე აღწერა			
აქტივობა 2. მოკლე აღწერა			
და ა.შ.			
მონიტორინგი			
ანგარიში			

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი

ბ.ა.

გთუნის წლიური სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგები
(ანგარიშის ფორმას ავსებს ფაკულტეტი/კათედრა)

ფაკულტეტი-----

კათედრა-----

წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალი

1. სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება/თემა :
<p>აღწერა:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიმართულების/თემის დასახელება; - სამეცნიერო საქმიანობის ტიპი (ფუნდამენტური, გამოყენებითი, დამუშავებითი); - ხელმძღვანელი; - მონაწილენი; - ძირითადი შედეგები (ანოტაცია); - დანართი: დასრულებული წლიური თემის ბეჭდური ვერსია
2. პუბლიკაციები
<p>2.1. მონოგრაფია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - ანოტაცია; - დანართი : სატიტულო ფურცლის ასლი, მეორე გვერდის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.2. კოლექტიური მონოგრაფია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - ანოტაცია; - დანართი : სატიტულო ფურცლის ასლი, მეორე გვერდის ასლი, შინაარსის (სარჩევის) ასლი.
<p>2.3. კათედრის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული (არსებობის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> - კრებულის სახელწოდება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - ანოტაცია; - დანართი : სატიტულო ფურცლის ასლი, მეორე გვერდის ასლი, შინაარსის (სარჩევის) ასლი.
<p>2.4. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - სტატიის ტიპი, მაგალითად: მიმოხილვითი და ორიგინალური სტატიები, თეზისები, სარედაქციო სტატია, წერილი, მოსაზრება, სიახლე და სხვა. (შენიშვნა: პუბლიკაციის ტიპი გავლენას ახდენს ციტირების მაჩვენებელზე). - დანართი : სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.5. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - დანართი : სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.6. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული საზღვარგარეთის ჟურნალში:</p>

<ul style="list-style-type: none"> - ავტორი (გვარი, სახელი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - დანართი: სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი .
<p>2.7. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა კრებულში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, კრებული, წელი, გვერდების რაოდენობა; - დანართი: სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.8. სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - დანართი: სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.9. სტატია ან თეზისები სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მასალათა კრებულში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, გამოქვეყნებული თეზისების სატიტულო ფურცლის ასლი და/ან თეზისის ასლი, კონფერენციის, სიმპოზიუმის სემინარის ძირითადი მიმართულება/სათაური, სამუშაო გეგმა და/ან სხვა) ;
<p>2.10. გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი , ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - ანოტაცია; - დანართი: სატიტულო ფურცლის ასლი, მეორე გვერდის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>2.11. სასწავლო-მეთოდური ნაშრომები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა; - დანართი: სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი.
<p>3. სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ღონისძიებები</p>
<p>3.1. კათედრის/ ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კონფერენციის ძირითადი სათაური/მიმართულება; - ჩატარების ადგილი, თარიღი; - კონფერენციის მოკლე აღწერა; - დანართი: კონფერენციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
<p>3.2. კათედრის/ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებები (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა, ფესტივალი, მეცნიერის ხსოვნის საღამო, სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, სამეცნიერო-თემატური კვირეული და ა.შ.)</p> <ul style="list-style-type: none"> - ღონისძიების სახელწოდება, არსი; - ჩატარების ადგილი, თარიღი; - კონფერენციის მოკლე აღწერა; - დანართი: ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
<p>3.3. ეროვნულ, რეგიონულ და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - კონფერენციის ძირითადი სათაური/მიმართულება; - კონფერენციის სტატუსი (ეროვნული, რეგიონული, საერთაშორისო, სხვა..) - ჩატარების ადგილი, თარიღი; - კონფერენციაში მონაწილეობის სტატუსი (წამყვანი, მომხსენებელი და მონაწილე, მხოლოდ მონაწილე, სექციის ხელმძღვანელი, სხვა)

- **დანართი:** კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი
(თუ ინფორმაცია უკვე ასახულია პუქტში 2.9. მიუთითეთ „იხ. 2.9.“)

4. სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება

4.1. კათედრის/ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციები:

- კონფერენციის ძირითადი სათაური/მიმართულება, მიზანი (მოკლე აღწერა);
- ჩატარების ადგილი, თარიღი;
- კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
- კონფერენციაში მონაწილეობისთვის დაჯილდოებულ (დიპლომი, სერტიფიკატი, პრემია, სხვა) სტუდენტთა სია;
- **დანართი:** კონფერენციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასალა ან/და სხვა.

4.2. სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო პროექტებში:

- პროექტის სათაური, არსის მოკლე აღწერა;
- დაწყების და დასრულების თარიღი /ხანგრძლივობა;
- მონაწილე სტუდენტთა სია;
- **დანართი:** პროექტის მიმდინარეობის ან და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასალა ან და სხვა.

4.3. სტუდენტთა პუბლიკაციები (გთსუს აკადემიური პერსონალის თანაავტორობის გარეშე)

- ავტორი (სახელი, გვარი), ნაშრომი, ხელმძღვანელი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, სარჩევის ასლი

4.4. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა:

- სამაგისტრო ნაშრომის სათაური; მიზანი, აქტუალობა, სამეცნიერო მნიშვნელობა;
- ხელმძღვანელი;
- სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა, რომელნიც შეფასდა უმაღლესი ქულით (ნაშრომთა საერთო რაოდენობიდან)

4.5. სხვა

5. სარედაქტორო საქმიანობა

5.1. მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორობა

- რედაქტორი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- მონოგრაფიის ავტორი (სახელი, გვარი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რედაქტორი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.2. სახელმძღვანელოს რედაქტორობა

- რედაქტორი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- სახელმძღვანელოს ავტორი (სახელი, გვარი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რედაქტორი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.3. სამეცნიერო შრომათა კრებულის რედაქტორობა

- რედაქტორი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- სამეცნიერო შრომათა კრებულის სახელწოდება, გამოქვეყნების ადგილი, წელი;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რედაქტორი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.4. სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა

- რედაქტორი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- ჟურნალის სახელწოდება, გამოქვეყნების ადგილი, წელი;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რედაქტორი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.5. სარედაქტორო საქმიანობის სხვა ფორმები (სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა, სხვა):

- სახელი, გვარი, სხვა მონაცემები;
- პუბლიკაციის სახელწოდება, გამოქვეყნების ადგილი, წელი;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რედაქტორი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სარეცენზიო საქმიანობა

6.1. მონოგრაფიის, სტატიის რეცენზირება:

- რეცენზენტი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- მონოგრაფიის ავტორი (სახელი, გვარი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რეცენზენტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.2. სახელმძღვანელოს რეცენზირება:

- სახელმძღვანელოს ავტორი (სახელი, გვარი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რეცენზენტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.3. სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

- რეცენზენტი (სახელი, გვარი), სხვა მონაცემები;
- სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის ავტორი (გვარი, სახელი), ნაშრომი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;
- **დანართი:** სატიტულო ფურცლის ასლი, გვერდის ასლი, რომელზედაც მითითებულია რეცენზენტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.4. სხვა

7. სამეცნიერო საზოგადოების წევრობა

7.1. სამეცნიერო საზოგადოების სახელწოდება

- წევრის სახელი, გვარი, სხვა მონაცემები ;
- საზოგადოების საქმიანობის მოკლე აღწერა.

8. დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტში/პროექტებში მონაწილეობა
<ul style="list-style-type: none"> - პროექტის მონაწილის სახელი, გვარი, სხვა მონაცემები ; - პროექტის სახელწოდება, სტატუსი, არსის მოკლე აღწერა; - დაწყების და დასრულების თარიღი /ხანგრძლივობა; - მონაწილეთა სია; - დაფინანსების წყარო/ფორმა; - დანართი: პროექტის მიმდინარეობის ან (შესრულების) დამადასტურებელი დოკუმენტი, მასალა ან /და სხვა.
9. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა
<ul style="list-style-type: none"> - სახელი, გვარი, სხვა მონაცემები; - თანამშრომლობის ობიექტი/ობიექტები; - ფორმები, მიმართულებები, აქტივობები (თავისუფალი აღწერა); - დანართი: დამადასტურებელი დოკუმენტი
10. სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა
<ul style="list-style-type: none"> - სახელი, გვარი, სხვა მონაცემები; - ნაშრომის სახელწოდება, ავტორი - დანართი: დამადასტურებელი დოკუმენტი - <i>სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის შემთხვევაში ინფორმაცია მიმწვევი ორგანიზაციის, ან/და ერთობლივი სადოქტორო ნაშრომის შესახებ.</i>
11. ლექციები, საჯარო გამოსვლები, პრეზენტაციები, მოხსენებები, ლექციები მიწვევით და სხვა აქტივობები, რაც არ არის გამოქვეყნებული.
<ul style="list-style-type: none"> - სახელი, გვარი, სხვა მონაცემები; - აქტივობის თემა, განხორციელების ადგილი, თარიღი - დანართი: დამადასტურებელი დოკუმენტი

ხელმოწერა :

ფაკულტეტის დეკანი: -----

კათედრის ხელმძღვანელი: -----

ბ.ა.

რიცხვი/თვე/წელი

გთუნის წლიური სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების გამოხატვა ქულებით

(ქულათა ქვემოთ მოცემული სისტემა გამოყენებულია როგორც აკადემიური პერსონალის შეფასების მულტი-კრიტერიუმების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი და გვხვდება დოკუმენტში „გთუნის პერსონალის მართვის სტრატეგია“)

№	სამეცნიერო საქმიანობის	საათი	შენიშვნა
1	მონოგრაფია		
	- მომზადება-გამოცემა	1800	
	- სამეცნიერო რედაქტირება	360	
	- რეცენზირება	180	
2	სახელმძღვანელო		
	- მომზადება-გამოცემა	900	
	- სამეცნიერო რედაქტირება	180	
	- რეცენზირება	90	
	- შევსება-განახლება და გამოცემა	360	
	- სამეცნიერო რედაქტირება	180	
	- რეცენზირება	90	
3	სალექციო კურსი		
	- მომზადება-გამოცემა	450	
	- რეცენზირება	90	
	- შევსება-განახლება და გამოცემა	180	
4	სამეცნიერო სტატია		
	- სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში	540	1 სტატია
5	- სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია ადგილობრივ	360	1 სტატია
6	საგრანტო პროექტი		
	- საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა	360	ერთი წელი
	- საერთაშორისო საგრანტო პროექტში მონაწილეობა	360	ერთი წელი
	- საქართველოს ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა	270	ერთი წელი
	- საქართველოს ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში მონაწილეობა	180	ერთი წელი
	- შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა	270	ერთი წელი
	- შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტში მონაწილეობა	180	ერთი წელი
7	სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა		

	- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმის მუშაობის ხელმძღვანელობა	100	1 კონფერენციის ფარგლებში
	- მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე	150	1 მოხსენება
	- რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმის მუშაობის ხელმძღვანელობა	100	1 კონფერენციის ფარგლებში
	- მოხსენება რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე	150	1 მოხსენება
	- საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმის მუშაობის ხელმძღვანელობა	50	1 კონფერენციის ფარგლებში
	- მოხსენება საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე	100	1 მოხსენება
8	სამეცნიერო კონფერენციისათვის სტუდენტის მომზადება		
	- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისათვის ერთი თემის მომზადების ხელმძღვანელობა	100	1 სტუდენტი
	- რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისათვის ერთი თემის მომზადების ხელმძღვანელობა	70	1 სტუდენტი
9	- საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციისათვის ერთი თემის მომზადების ხელმძღვანელობა	50	1 სტუდენტი
10	- საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციისათვის ერთი თემის მომზადების ხელმძღვანელობა	30	1 სტუდენტი
11	- სტუდენტთა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების (კონკურსები, ოლიმპიადები და სხვ.) ხელმძღვანელობა	100	ერთ გუნდზე
12	- სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის მომზადება/დამუშავება	100	1 ნორმატიული დოკუმენტი
13	- საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობა	200	ერთი სერთიფიკატი
	სემინარი/ტრენინგები		
14	- ჩატარება	200	
	- მონაწილეობა	100	
15	- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	100	ერთ სტუდენტზე
16	- საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	50	ერთ სტუდენტზე
17	- სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	10	
18	- საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება	5	
19	- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა	180	
20	- საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელობა	90	

ინფორმაცია აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო პროგრამების შესახებ
<http://www.rustaveli.org.ge/>

პროგრამების აბრევიატურები	კონკურსები/პროგრამები
FR	ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი
PG/H2020	ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის "ჰორიზონტი 2020"-ის პროექტების მოსამზადებელი გრანტები
UO GSP	უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობის საგრანტო კონკურსი
HE	საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი
YS	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი
PhD F	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი
MR	სამაგისტრო კვლევების საგრანტო კონკურსი
DAAD	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის საგრანტო კონკურსი
VW	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ფოლკსვაგენის ფონდის საგრანტო კონკურსი
MG (CG/SS/TG)	მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საგრანტო კონკურსი (ინდივიდუალური სამოგზაურო, საკონფერენციო და სეზონური სკოლების გრანტები)
AAwards	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის
STCU	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის საგრანტო კონკურსი
JUELICH MA	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის პროგრამა მაგისტრანტებისთვის
JUELICH PhD	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის პროგრამა დოქტორანტებისთვის
CNR	იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო
CNRS PICS	საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
TUBITAK	თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭო

IF (იმპაქტ-ფაქტორი) და SJR (სიმაგოს ჟურნალების რეიტინგი) ინდექსების გამოთვლის ფორმულები ცხრილი 1.

ცხრილი 1. IF და SJR ფორმულები

IF იმპაქტ-ფაქტორის გამოთვლისათვის	SJR ჟურნალის რეიტინგის გამოთვლისათვის
$IF = (C_o + C_r) / P$	$SJR = (C_p - C_t) / P$

სადაც,

C_o ციტირებები ორიგინალური სტატიებიდან

C_p ციტირებები ყველა პუბლიკაციიდან

C_r ციტირებები მიმოხილვებიდან

C_t თვით-ციტირება

P პუბლიკაციების საერთო რაოდენობა (აქ შედის: ორიგინალური და მიმოხილვითი სტატიები, შრომები, თეზისები, შენიშვნები *)

* არ შედის რედაქტორის, კორესპონდენტის და ა.შ. წერილები, ერატა, ახალი ამბები და ამგვარი

IF და SJR ფორმულებში განსხვავებულია მრიცხველი, რაც გულისხმობს, ერთი და იმავე ჟურნალს განსხვავებული ციტრებების მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს. რეალურად, განსხვავების მიზეზი ბევრად მეტია. (იხ. ცხრილი 2, მომზადებულია [4]-ის მიხედვით).

ცხრილი 2. SJR და IF შედარება

ინდიკატორი	SJR ეს-ჯეი-არ ეს-ჯეი-არ	IF იმპაქტ-ფაქტორი
გამოყენება	2007-დან	1975-დან
ორგანიზაცია	SCImago ლაბორატორია	თომსონ როიტერი
ხელმისაწვდომობა	ღია	ფასიანი
მონაცემთა ბაზა	Scopus	Web of Science
ინდექსირებული ჟურნალები	ელსევიერი	სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი
გამოცემები	>13 208	>11 855
ჟურნალის რეგისტრაციის ქვეყანა	1960 წლიდან	1900 წლიდან
ჟურნალის ენა	97	71
პერიოდი	50	30
ციტირებადი სტატია თვითციტირება	სამი წელი	ორი წელი
	ყველა პუბლიკაციიდან არ ითვლება	ორიგინალური და მიმოხილვა ითვლება
რეიტინგული სიები	SCImago Journal Ranking სიმაგო ჟურნალების რეიტინგი	JCR - Journal Citation Reports ჟურნალების ციტირების ანგარიში
	Country Ranking ქვეყნების რეიტინგი	HiCi – Highly Cited
	Institution Ranking ინსტიტუტების რეიტინგი	მაღალციტირებადი მენიერები First Impact Factor
სხვა მაჩვენებლები	შედარებითი და დინამიკური ანალიზი და სხვა	ჟურნალები, რომელთაც პირველად მიენიჭათ იმპაქტ-ფაქტორი IF - მიმდინარე წლის, 5-წლიანი ტრენდი, სიცოცხლის ნახევრის ციტირების* მაჩვენებელი და სხვა.

* სიცოცხლის ნახევრის ციტირების მაჩვენებელი (Cited Half-Life) - რამდენი წელი დასჭირდა ჟურნალს იმისათვის, რომ ამ წლის ციტირებების რაოდენობის 50% გატოლდებოდა ციტირებების სრულ რაოდენობას.

ცხრილი 3. თომსონ როიტერსა და ელსვეიერში ინდექსირებული ქართული ჟურნალები

ჟურნალი	რეგისტრაციის ქვეყანა	რეიტინგი	
		SCImago	CiteFactor
Bulletin of the Georgian National Academy of Sciences	საქართველო	SJR -0.205	-
Georgian medical news	რუსეთის ფედერაცია	SJR -0.124	-
Georgian Mathematical Journal ³	აშშ	SJR -0.340	0.340

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ “კარგი მეცნიერის მიერ დაწერილი ან რედაქტირებული წიგნი, თუნდაც წიგნის ერთი თავი, ან/და ლექციების კურსი, რომლითაც მეცნიერი შეიძლება იყოს გამორჩეული და გავლენიანი, ზოგჯერ გაცილებით დიდ გავლენას ახდენს დარგის განვითარებაზე, ვიდრე ერთი კარგი სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. ყოველ შემთხვევაში, როდესაც მეცნიერის გავლენასა და პროდუქტიულობას ვაფასებთ, უნდა გვახსოვდეს რომ თომსონ როიტერსის ყველა დროის ყველაზე ციტირებადი 100 სტატიის ავტორებს შორის არ აღმოჩნდნენ: აინშტაინი (ფარდობითობის თეორია), ფლემინგი (პირველი ანტიბიოტიკი), უოტსონი და კრეკი (დნმ-ს სტრუქტურა) და სხვა მეცნიერები, ვინც აკადემიურ აზროვნებაში ნადვილი გადატრიალება მოახდინეს“ (<https://academinnovation.wordpress.com;>)

